საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიდი მეჯვრისხევი

დიდი მეჯვრისხევი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. მეჯუდის (ლიახვის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას, ტირიფონის არხის მარჯვ. მხარეს. მეჯვრისხევის თემის ცენტრი (სოფლები: დ. მ., ზერტი, კვარხითი, მეჯუდისპირი, პატარა მეჯვრისხევი). ზ. დ. 800 მ, გორიდან 19 კმ. 3,2 ათ. მცხ. (2002).

სოფელში არის ა. ერისთავ-ხოშტარიას სახლ-მუზეუმი. დ. მ-ში შემონახულია მრავალი ხუროთმოძღვრული ძეგლი, მ. შ. ერისთავების ორსართულიანი საცხოვრ. სახლი (თავდაპირველი ფენა თარიღდება XVII–XVIII სს-ით; გვიანდ. – XIX ს-ით) და დიდი მარანი. სოფლის შუაში მირმანოზ ერისთავის (მანანა ორბელიანის მამა) ციხე-სასახლის კომპლექსია, რ-ის პირველი ნაგებობები: ციხე-გალავანი, კარიბჭე და კოშკები XVII–XVIII სს-შია აგებული. XVIII ს-ში ციხის კარიბჭეზე ორსართულიანი სასახლე მიუშენებიათ, ხოლო XVIII–XIX სს-ში სასახლე გაუფართოებია და გადაუკეთებია მირმანოზ ერისთავს. სოფლის განაპირას დგას გვიანდ. შუა საუკ. კვირაცხოვლის ერთნავიანი ეკლესია.

დ. მ-ის შუაში აგურითა და რიყის ქვით ნაგები უსანეთის ეკლესიაა. დას. ფასადზე, მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილი წარწერიდან ჩანს, რომ იგი აუშენებია ივანე ხახუტაშვილს 1851.

სოფლის აღმ-ით, ძვ. სასაფლაოზე, IX–X სს. ღვთისმშობლის ეკლესია დგას, ხოლო ჩრდ-ით, სასაფლაოზე – გვიანდ. შუა საუკ. კიდევ ერთი ღვთისმშობლის ეკლესია. სოფლის სამხრ.-აღმ-ით, მთის ფერდობზე, ადგილ ლომისაში, გვიანდ. შუა საუკ. წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესიაა, რ-საც წმ. გიორგის ნიშს უწოდებენ.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990.

ჯ. გვასალია